შედგა სატელეფონო საუბარი უწმინდეს პატრიარქ კირილესა და ბელგოროდის მიტროპოლიტ იოანეს შორის

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 02.01.2024. 2024 წლის 1 იანვარს სატელეფონო საუბარი შედგა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილესა და ბელგოროდისა და სტაროოსკოლის მიტროპოლიტ იოანეს შორის, **– იუწყება** პატრიარქის პრეს-სამსახური.

ბელგოროდის სამიტროპოლიტოს მეთაურმა დეტალურად აცნობა პირველმღვდელთმთავარს ბელგოროდში არსებული ვითარების შესახებ 2023 წლის 30 დეკემბერს ქალაქის ცენტრში განხორციელებული სარაკეტო თავდასხმის შემდეგ, რის შედეგადაც დაიღუპნენ და დაშავდნენ მშვიდობიანი მოქალაქეები. 1 იანვრის მონაცემებით, დაიღუპა 25 ადამიანი, მათ შორის რამდენიმე ბავშვია, ასზე მეტი კი დაშავდა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა აკურთხა ბელგოროდის სამიტროპოლიტოს სამღვდელოება, გააძლიერონ სამწყემსო მზრუნვა ტრაგედიით დაზარალებული ადამიანების მიმართ, გაუწიონ ყველა შესაძლო დახმარება დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახებს, ნუგეში სცენ და მხარში ამოუდგნენ მათ ამ მძიმე პერიოდში.

უწმინდესმა მეუფემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ამ ტრაგედიაში ნათესავებისა და მეგობრების დაკარგული ოჯახებისთვის ყოველგვარი სულიერი და მატერიალური დახმარების გაწევის აუცილებლობაზე.

წინამძღვარმა ბრძანა, საჭიროების შემთხვევაში, მიცვალებულთა წესის აგების და დაკრძალვის ჩატარება ბელგოროდის ეპარქიის სახსრების ხარჯზე.

უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ კმაყოფილება გამოთქვა ბელგოროდის სამწყსოს სულიერი და ზნეობრივი მდგომარეობით, რომელიც, მომხდარის მიუხედავად, ინარჩუნებს სულიერ სიმტკიცეს და არ ვარდება მოწყინებაში.

მისი უწმინდესობის თქმით, სასიხარულოა, რომ ბელგოროდის მოსახლეობა ავლენს ვაჟკაცობას და გამძლეობას მათ თავზე მოწეული განსაცდელების წინაშე.

დასასრულ, რუსეთის ეკლესიის წინამძღვარმა ღვთის კურთხევა მოიხმო რეგიონის საერო და სასულიერო ხელმძღვანელობაზე, ასევე ბელგოროდის ოლქის თითოეულ მცხოვრებზე, და ყველა დაზარალებულს სწრაფი გამოჯანმრთელება უსურვა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91213/